ბრძანება:**ბ47. 4725203001**
თარიღი:**22/07/2025**

ბრძანება N 54

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი

სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის №9 დადგენილებით დამტკიცებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-40 მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. მიმდინარე წლის 29 ივლისს დღის 12 საათზე, მოწვეულ იქნეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1.1. საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

1.2. „ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 20 ივნისის №8 დადგენილების დანართში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

1.3. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ნიკოლოზ დუმბაძე

მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი

1.4. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 დეკემბერის №17 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

1.5. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად გამოყოფილი ადგილების ნუსხის განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსი

1.6. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ჯვარცხმაში მდებარე 2394.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ - 28.10.22.007) სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსი

1.7. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, ფარცხმის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ შუა ფარცხმაში მდებარე მე-12 ქუჩისთვის გრიგოლ მეგრელიშვილის სახელის მინიჭების შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

1.8. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ერკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე N 9 ქუჩისთვის ფილიპე მგალობლიშვილის სახელის მინიჭების შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

1.9. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი

1.10. ინფორმაცია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. N 4.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ირაკლი კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი